ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №32

20.10.2023 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
11:00 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. შალვა ოგბაიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. გურამ ოქროპირიძე - კომისიის წევრი;
3. მარიამ ზაქარიაშვილი - კომისიის წევრი;
4. სალომე კობალაძე - კომისიის წევრი;
5. ნინო წულაძე - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ მიერ გასაწევი ზოგიერთი ანაზღაურებადი მომსახურების სახისა და საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის №87-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032326973-03; 26.09.2023);**

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0323291145-03; 18.10.2023);**

3. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 125 2 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 134 1 მუხლით, 135-ე-135 5 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12, მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125 2 მუხლით, 135-ე-135 5 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0323291145-03; 18.10.2023);**

4. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0323291145-03; 18.10.2023).**

მომხსენებლები:

- **გიორგი მარგებაძე -** ააიპ ,,მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო“-ს უფროსი;
- **ვასილ აბულაძე** - სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფროსის მოადგილე.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

შ.ოგბაიძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და მომხსენებლებს სთხოვა წარედგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ მიერ გასაწევი ზოგიერთი ანაზღაურებადი მომსახურების სახისა და საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის №87-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032326973-03; 26.09.2023):

გ.მარგებაძემ ვრცლად ისაუბრა წარმოდგენილი დადგენილების პროექტის შესახებ, რომლის თანახმადაც, ცვლილება ხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ააიპ ,,მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ მიერ გასაწევი ზოგიერთი ანაზღაურებადი მომსახურების სახისა და საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის №87-81 დადგენილებაში და დადგენილების პირველი მუხლით განსაზღვრულ მომსახურების სახეებს დაემატება „მ“ ქვეპუნქტი: **„პარკირების მობილურ აპლიკაციაში შემავალი სერვისების მიწოდების მომსახურება.“** შესაბამისად, დადგენილებას დაემატება ახალი დანართი N12 - „პარკირების მობილურ აპლიკაციაში შემავალი სერვისების მიწოდების მომსახურების პირობები და საფასურის ოდენობები.“

როგორც **გ.მარგებაძემ** აღნიშნა პარკირების მობილურ აპლიკაციაში შემავალი სერვისების მიწოდების მომსახურებისათვის საფასური შეადგენს 1350.00 ლარს (ერთი დღის მომსახურების საფასური დღგ-ს ჩათვლით) და მოიცავს შემდეგ მომსახურებებს:

- სერვისების მიწოდება;
- აღნიშნული სერვისების შემდგომი გამოყენება.

უნდა აღინიშნოს, რომ იცვლება დადგენილებით განსაზღვრული მომსახურებების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და ანაზღაურების წესი. კერძოდ, მოქმედი რედაქციით შესაძლებელია აღნიშნული განხორციელდეს როგორც მომსახურების ბოლოს, ასევე ყოველთვიურად, ცვლილების თანახმად კი - მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება და ანაზღაურება განხორციელდება ყოველთვიურად. შესაბამისად, ცვლილებები ხორციელდება დადგენილების დანართებში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა (მომხრე - 5, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), უმრავლესობით კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ მიერ გასაწევი ზოგიერთი ანაზღაურებადი მომსახურების სახისა და საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის №87-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032326973-03; 26.09.2023)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0323291145-03; 18.10.2023):

ვ.აბულაძემ ისაუბრა წარმოდგენილი დადგენილების პროექტის შესახებ, რომლის თანახმადაც, ცვლილება შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილების მე-2 მუხლით დამტკიცებულ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დებულებაში და დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტს, „ჟ“ ქვეპუნქტის შემდეგ, ემატება შემდეგი „ჟ1“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით, სააგენტოს ფუნქციების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით, უფლება ენიჭება მისთვის დაკისრებული უფლებამოსილების განხორციელების შედეგად დამუშავებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების აღრიცხვისა და მართვის სისტემის (Protocols) მეშვეობით მიღებული მონაცემების სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე

გადაცემა განახორციელოს თითოეული სატრანსპორტო საშუალების მონაცემზე მომსახურების საფასურის - თვეში 0,5 ლარის ოდენობით გადახდის შემთხვევაში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა (მომხრე - 5, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), უმრავლესობით კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0323291145-03; 18.10.2023)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

3. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 125[2] მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 134[1] მუხლით, 135-ე-135[5] მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125[2] მუხლით, 135-ე-135[5] მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0323291145-03; 18.10.2023):

ვ.აბულაძის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად ელექტრონული საჯარიმო ქვითარი დგება ადმინისტრაციული სამართალდარღვევების აღრიცხვისა და მართვის სისტემით (Protocols), რომლის მეშვეობით ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული სრული პროცედურა.

სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დამუშავებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების აღრიცხვისა და მართვის სისტემის (Protocols) მეშვეობით მიღებული მონაცემების გაცემასთან დაკავშირებით სააგენტოში შევიდა სს „გაერთიანებული კლირინგ ცენტრის“ დირექტორის წერილი და სამომავლო თანამშრომლობის მიზნით გაიმართა შეხვედრები სააგენტოს, სს „გაერთიანებული კლირინგ ცენტრის“, სს „საქართველოს ბანკის“, სს „თი ბი სი ბანკის“, სს „ლიბერთი ბანკის“ წარმომადგენლებს შორის.

ვ.აბულაძემ განმარტა, რომ ზ/ა გამომდინარე, შემუშავდა წარმოდგენილი პროექტი, რომლის მიხედვითაც, სააგენტოს მიერ მისთვის ამ დადგენილებით დაკისრებული

უფლებამოსილების განხორციელების შედეგად, დამუშავებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების აღრიცხვისა და მართვის სისტემის (Protocols) მეშვეობით მიღებული მონაცემების სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე გადაცემა განხორციელდება თითოეული სატრანსპორტო საშუალების მონაცემზე მომსახურების საფასურის თვეში 0,5 ლარის ოდენობით გადახდის შემთხვევაში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 5, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 134^1 მუხლით, 135-ე-135^5 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 135-ე-135^5 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0323291145-03; 18.10.2023)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

4.„ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0323291145-03; 18.10.2023):

ვ.აბულაძემ განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტის თანახმად, დადგენილების მე-4 მუხლს ემატება შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

<u>„4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებები გათავისუფლდეს დადგენილი დროის მონაკვეთისა და ზონალური პარკირების საფასურების გადახდისგან“.</u>

უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი დადგენილების მე-2 მუხლის ,,ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პარკირების ოპერატორი არის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

მთავრობის მიერ პარკირების სფეროს მართვის, ორგანიზების, კონტროლის ან/და ადმინისტრირების განხორციელების მიზნით დაფუძნებული ან შერჩეული პირი.

2023 წლის პირველი აგვისტოდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაევალა, მის მიერ პარკირების სფეროს მართვის სრულყოფილად განხორციელების მიზნით ყველა საჭირო ღონისძიების გატარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებით განსაზღვრული სატრანსპორტო საშუალების პარკირების საფასურის ჩარიცხვა 2023 წლის პირველი აგვისტოდან ხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ერთიან ანგარიშზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო ვერ გააფორმებს ხელშეკრულებას საკუთარ თავთან და საკუთარ ანგარიშზე ვერ ჩარიცხავს სათანადო თანხას, რის გამოც მომზადდა წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომლის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებები თავისუფლდება დადგენილი დროის მონაკვეთისა და ზონალური პარკირების საფასურების გადახდისგან.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა (მომხრე - 5, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), უმრავლესობით კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0323291145-03; 18.10.2023)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ოგბაიძე